



საჯარო სამართლის იურიდიული პირი  
სოციალური მომსახურების სააგენტო  
**ბ რ ძ ა ნ ე ბ ა**



KA030422729618114

№ 04-45/ო

27 / თებერვალი / 2014 წ.

სსიპ-სოციალური მომსახურების სააგენტოს 2012 წლის 30 მარტის N04-183/ო ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„დიალიზისა და თირკმლის ტრანსპლანტაციის“ სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული სამედიცინო მომსახურების მიმწოდებელთა ცვლილების (დამატება) შესაბამისად, ამ პროგრამით სარგებლობისათვის დამტკიცებული განცხადების ფორმის დაზუსტების მიზნით, „დიალიზის მომლოდინე პაციენტთა რეესტრის წარმოებისა და დიალიზის მოსარგებლეთა მოძრაობის წესის შესახებ“ სააგენტოს დირექტორის 2012 წლის 30 მარტის N04-183/ო ბრძანებაში ცვლილების შესატანად, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 27 ივნისის N190/ნ ბრძანებით დამტკიცებული სსიპ-სოციალური მომსახურების სააგენტოს დებულების მე-4 მუხლის საფუძველზე,

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა :**

1. „დიალიზის მომლოდინე პაციენტთა რეესტრის წარმოებისა და დიალიზით მოსარგებლეთა მოძრაობის წესის შესახებ“ სააგენტოს დირექტორის 2012 წლის 30 მარტის N04-183/ო ბრძანების პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით დამტკიცებული „დიალიზის (ჰემოდიალიზი ან პერიტონეული) პროგრამაში მონაწილეობის მსურველი პირის განცხადების ფორმა“ (დანართი N5) ჩამოყალიბდეს წინამდებარე ბრძანების დანართით წარმოდგენილი სახით (დანართი N5).

2. სააგენტოს ადმინისტრაციამ (გ. გოგოლაძე), საჯარო გაცნობის მიზნით, უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანებისა და მისი დანართის განთავსება სააგენტოს ვებ-გვერდზე ([www.ssa.gov.ge](http://www.ssa.gov.ge)).

3. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

ნოე ქინქლაძე

*ნ. ხ. ხაჩიძე*

საკონტაქტო ტელეფონი  
**დიალიზის (ჰემოდიალიზი ან პერიტონეული) პროგრამაში მონაწილეობის მსურველი პირის  
განცხადება**

მხოლოდ იმ მიმწოდებელთან, რომელიც ჩემს მიერ არის მონიშნული და ჩემთვის გეოგრაფიულად ხელმისაწვდომია.

N	მიმწოდებლის		მონიშვნა <sup>1</sup>
	დასახელება	მისამართი	
1	სს მრავალპროფილიანი კლინიკური საავადმყოფო „რესპუბლიკა“	ზუგდიდი, გამსახურდიას ქ. N206	
2	სააქციო საზოგადოება ალ. წულუკიძის სახ. უროლოგიის ეროვნული ცენტრი	თბილისი, წინანდლის N9	
3	სს„კ. ერისთავის სახ. ექსპერიმენტული და კლინიკური ქირურგიის ეროვნული ცენტრი	თბილისი, ჩაჩავას N5	
4	სსიპ გიორგი აბრამიშვილის სახელობის „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ჰოსპიტალი“	გორი, ჭავჭავაძის N56	
5	შპს„ა. ნ. ყიფშიძის სახ. ცენტრ. საუნივერსიტეტო კლინიკა“	თბილისი, ვაჟა-ფშაველას N29	
6	შპს „მეტაკო“	ქუთაისი, გალაქტიონ ტაბიძის ქ. N72 <sup>ფ</sup>	
7	შპს „ქ. ბათუმის რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფო“	ბათუმი, ტბელ აბუსერიძის ქ.N2	
8	შპს „წმინდა პანტელეიმონ მკურნალის სახელობის კლინიკა“	ბორჯომი, ვაშლივანის ქ. N4 ( სოფ. ყვიბისი)	
9	შპს „აკად. ზ. ცხაკაიას სახ. დასავლეთ საქართველოს ინტერვენციული მედიცინის ცენტრი“	ქუთაისი, ჯავახიშვილის N83ა	
10	შპს „ვია-ვიტა“	თბილისი, ლუმბლიანას ქ. N18/20.	
11	შპს „ვია-ვიტა“( ბათუმის ფილიალი)	ბათუმი, ტბეთის ქუჩა N 5.	
12	შპს „მაღალი ტექნოლოგიების ცენტრი, საუნივერსიტეტო კლინიკა“	თბილისი, წინანდლის ქ. N9	
13	ა(ა)იპ-კახეთი-იონი	გურჯაანი, ნონეშვილის ქ.N13	
14	შპს „ჰაიმედი“	რუსთავი, მე-7 მიკრორაიონი	
15	შპს მად ი მედი	მარნეული, 26 მაისის ქ. N80	
16	შპს „ვია ვიტა“ (ზესტაფონის ფილიალი)	ზესტაფონი, უზნაძის ქ. N142	
17	შპს „უნიმედი აჭარა“	ქობულეთი, მ. აბაშიძის ქ. N18	
18	შპს „რეფერალური დახმარების ცენტრი“	თბილისი, ლუმბლიანას N18/20	

ჩემი ხელმოწერით აგრეთვე ვადასტურებ, რომ ვიცნობ პროგრამით სარგებლობის პირობებს:

- ✓ მონიშვნა ხორციელდება პრიორიტეტულობის მიხედვით, არაუმეტეს 3 (სამი) მიმწოდებლისა;
- ✓ მომლოდინეთა რიგში ბენეფიციარის შემდეგ მყოფი პირის მოთხოვნა შესაძლებელია დაკმაყოფილდეს უფრო ადრე იმ მიმწოდებელთან რომელიც არ არის მონიშნული;
- ✓ დიალიზის ჩატარების მოთხოვნის დაკმაყოფილების შემთხვევაში, ბენეფიციარი იხსნება ამ და რიგით შემდგომი პრიორიტეტული მიმწოდებლის მომლოდინეთა რიგიდან; მაგრამ, ამავე დროს ინარჩუნებს პრიორიტეტულობით უფრო წინ მდგომ მიმწოდებელთან მომლოდინეთა რიგს.

**ზემოაღნიშნულს ვადასტურებ ხელმოწერით**

/ ხელმოწერა/ /თარიღი/

<sup>1</sup>ამ გრაფაში მონიშვნა განმცხადებლისათვის სასურველი მიმწოდებელი, პრიორიტეტულობის მიხედვით (1, 2, 3), არაუმეტეს სამი მიმწოდებლისა.